<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩის შესახვევისთვის ფოლკლორისტის კუკური ჭოხონელიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩის შესახვევს მიენიჭოს ფოლკლორისტის კუკური ჭოხონელიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 1131
მდებარეობილი (გზიდან,
ივანე ჯავახიშვილის ქუჩა
მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა
ზღვის ქუჩა
ბორის ბაგრატიონის ქუჩა
ზღვის ქუჩა
ზღვის ქუჩა
ზღვ

კუკური(ევსევი) ჭოხონელიძე

(1940-2004)

პედაგოგი, ფოლკლორისტი, ღირსების ორდენის კავალერი

დაიბადა ქ. თბილისში. დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1967 წელს (თეორიულ–საკომპოზიციო).

1964 წლიდან იყო ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ლაბორანტი, 1970 წლიდან პედაგოგი, 1977 წლიდან ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის გამგე; 1974 წლიდან საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორის კომისიის თავმჯდომარე; დაწერილი აქვს: "ქართული სიმღერების იმერულ–გურული ტოტი" (1967), "ინტერნაციონალური და ნაციონალური ქართულ ქალაქურ სიმღერებში" (1972), "ქართული ხალხური მრავალხმიანობის აკორდიკის საკითხები" (1972), "ინტერვალი კვარტა და მისი როლი კადანსში" (1981), "ქართული მრავალხმიანობის თვითმყოფად ბუნებაზე" (1982); არის მრავალი საგაზეთო სტატიის და რეცენზიის ავტორი. 1979 წლიდან იყო კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი. მისი თაოსნობით არაერთი ფოლკლორული ექსპედიცია მოეწყო რაჭაში, გურიაში, აჭარაში, იმერეთში და კახეთში. დიდია მისი წვლილი ქართული ხალხური სასიმღერო ნიმუშების შენახვა-შესრულებასა და კვლევაში, რაც ცალკეული გამოცემების სახით არსებობს.

1999 წელს ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

შემოქმედებითი გაერთიანება „ლომისი“
CREATIVE ASSOCIATION 'LOMISI'

#100-017

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ ქართული ხალხური სიმღერა, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე კულტურული ფენომენი და ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია მთელს მსოფლიოში. უნიკალურ ქართულ მრავალხმიანობას, თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით, ფასდაუდებელი ამაგი დასდო გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, მუსიკალური ფოლკლორისტიკის თანამედროვე ქართული სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, პროფესორმა კუკური ჭოხონელიძემ.

ბატონი კუკური სამი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრას. იგი გახლდათ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ანსამბლ "გორდელას" ერთ-ერთი დამაარსებელი, ეთნომუსიკოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ათელობით უნიკალური ქართული ხალხური სიმღერის აღმომჩენი, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მკვლევარი; ამასთან ერთად, ამაგდარი მამულიშვილი და ღირსეული თბილისელი.

გთხოვთ, ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭოთ ამ დიდი მოღვაწის სახელი.

პატივისცემით,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი,
საქართველოს სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი,
შემომქედებითი გაერთიანება „ლომისის“
გენერალური დირექტორი

გია ბაღაშვილი

1, Melikishvili Str. 0179, Tbilisi, Georgia tel.: (995 32) 98 78 44
0179 ქ. თბილისი მელიქიშვილის . № 1
დაგეგმარებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 25.11.2005 წელს რეგისტრაციის № 1547/002-შპს
It's registred by 25.11.2005 the Tbilisi Tax Inspection, registered №1547/002-შპს



Georgia IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO

სახელი / FIRST NAME
გიორგი
GEORGE
გვარი / LAST NAME
გაღაშვილი
BAGASHVILI
მოქ. / CIT. GEO
სქესი / SEX მმ / M
პირადი No / PERSONAL No 01008005827
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 29.10.1971
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY 27.03.2029
ბარათის No / CARD No 18ID82593
ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
27.03.2019
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2018
სუს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE018ID8259310100800582 7<<<<
7110298M2903275GEO<<<<<<<<<<<7
BAGASHVILI<<GEORGE<<<<<<<<<<<<

წერილის ნომერი: **03-032226364**
თარიღი: **20/09/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შემოქმედებითი გაერთიანება "ლომისის" გენერალური დირექტორის გია ბაღაშვილის 2022 წლის 18 მაისის საქმე #10/032213728-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ფოლკლორისტის კუკური ჭოხონელიძის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გაბრიელ სუნდუკიანის შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში კუკური ჭოხონელიძის სახელობის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი